ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი
ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ააიპ „მეწარმე ქალთა ფონდს“ შორის

ქ. ქუთაისი 10 04 2019ნ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი, წარმომადგენელი ქალაქის მერი გიორგი ჭიღვარია (შემდგომში „მუნიციპალიტეტი“) და მეორე მხრივ, ააიპ „მეწარმე ქალთა ფონდი“, წარმომადგენელი მისი ხელმძღვანელის მერი გელაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა მხარეთა თანასწორობის პრინციპით, მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის და საერთო ინტერესების შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლიN 1. მხარეთა თანამშრომლობის მიზანი:

„მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამის ფარგლებში, მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა, კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე რეგისტირებული და მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება,მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერება და დასაქმების ხელშეწყობა.

მუხლი N2. მხარეთა ვალდებულებები

1.აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში ორივე მხარე თანხმდება შემდეგზე:

1.1 ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში ვალდებულებას იღებს „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამის ფარგლებში, მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება -გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა, კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2019 წლის განმავლობაში დააფინანსოს ააიპ „მეწარმე ქალთა ფონდი“ს მიერ წარმოდგენილი პროექტი -„ქ. ქუთაისში მცხოვრებ მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური და ეკონომიური გაძლიერება“ განხორციელებისათვის საპროექტო განაცხადში წარმოდგენილი თანხით 32953.00 (ოცდათორმეტი ათას ცხრაას ორმოცდაცამეტი) ლარით, მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად;

1.2 ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურმა განახორციელოს მონიტორინგი პროექტის მიმდინარეობის შესახებ;

1.3 ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად ავანსის სახით უზრუნველყოფს საერთო თანხის 20%-ის დაფინანსებას, ხოლო დარჩენილი თანხისანაზღაურება მოხდება პროექტის მიმდინარეობის შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ;

1.4ააიპ „მეწარმე ქალთა ფონდი“ უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებას ოფისით (1800 ლარი), ავტომობილით (ოჯარა 2100ლარი), საკონფერენციო დარბაზითა (1500 ლარი) და კომპიუტერული ტექნიკით (1200 ლარი), სულ 6 600 (ექვსი ათას ექვსასი) ლარით.

1.5 ააიპ „მეწარმე ქალთა ფონდი“ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს საპროექტო განაცხადით წარმოდგენილი პროექტის განხორციელების გრაფიკი და ამავე განაცხადში ასახული შემდეგი განსახორციელებელი ღონისძიებები:

ა)საინფორმაციო ბუკლეტის შედგენა პროექტის შესახებ;

ბ)მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება -გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა, კონკურსის წესით შერჩეული

პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში მოქმედი „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების" პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი პროექტების შერჩევა.

გ)საინფორმაციო შეხვედრები და კომუნიკაცია მრავალშვილიან ოჯახებთან;

დ)პროექტის ბენეფიციართა ანკეტირება, წინასწარ შემუშავებული კითხვარის თანახმად;

ე)ტრენინგის (საპროექტო განაცხადში წარმოდგენილი სასწავლო პროგრამის შესაბამისად) ორგანიზება;

ვ)ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი საგრანტო პროექტების განხილვა და კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება (პროგრამის ფარგლებში);

ზ)საგრანტო პროექტების მონიტორინგი;

თ)ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურში წარმოადგინოს ყოველი ორი თვის ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ;

ე)პროგრამის განხორციელებისას ორგანიზაციამ უზრუნველყოს საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ოფისი, ავტომობილი, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი, პრინტერი, საკონფერენციო დარბაზი) გამოყენება.

მუხლი N 3. მემორანდუმში ცვლილებების შეტანა

3.1 წინამდებარე მემორანდუმში რაიმე ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეების წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

3.2 მემორანდუმის 3.1 პუნქტის მოთხოვნათა სრული დაცვით განხორციელებული ცვლილებები ან/და დამატებები ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ამ მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი N4.მემორანდუმის ძალაში შესვლა და მისი მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი ძალაში შევა ორივე მხარის მიერ ხელმოწერის შემდეგ.

მუხლი N 5. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და დადასტურებულია მხარეთა ხელმოწერებით.

ხელმომწერ ორგანიზაციათა რეკვიზიტები:

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. ქუთაისი. შ. რუსთაველის გამზ. N3
ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი
გიორგი ჭიღვარია

212721170

აა(ი)პ „მეწარმე ქალთა ფონდი"
მის: ქ. ქუთაისი ლ. ასათიანის ქ. N68
ხელმძღვანელი
მერი გელაშვილი

249270532